განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
2 ნოემბერი, 2018 წ.
დასკვნის წარდგენის თარიღი
03 .12.2018

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული (რუსულენოვანი კომპონენტებით)
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2013 წლის 29 ივლისის 89-ე გადაწყვეტილება.

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო შოშიტაშვილი - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ჟიჟილაშვილი- კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეონა ჟუჟუნაძე - ილიას სახელმწიფო უნივერისიტეტი , საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია“ ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებაზე (თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი) ხორციელდება 2011 წლის 29 ივნისიდან - იმ დროიდან, როცა პროგრამამ მიიღო მოქმედი პროგრამის სტატუსი. პროგრამა ხორციელდება/ხორციელდებოდა სწავლების საბაკალავრო დონეზე. სწავლების ენა იყო ძირითადად რუსული. არსებობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილობითი პასუხი (17.05.2018, N7273/01-0306) თსუ-ს რექტორის წერილის საპასუხოდ, რომელშიც აღნიშნულია, რომ თსუ-ს უარი ეთქვა, რუსულ ენაზე განახორციელოს ქართულ-რუსული საბაკალავრო პროგრამა “ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია”. დღეს წარმოდგენილი პროგრამა ხორციელდება ქართულ ენაზე, რუსულენოვანი კომპონენტებით.

პროგრამის კრედიტების რაოდენობა შეადგენდა და შეადგენს 240 კრედიტს და მოიცავდა/მოიცავს: სავალდებულო საბაზისო ზოგადსაუნივერსიტეტო სასწავლო კურსებს, არჩევით საბაზისო ზოგადსაუნივერსიტეტო სასწავლო კურსებს; საფაკულტეტო შესავალ კურსებს; პროგრამის სავალდებულო ძირითად კურსებს; პროგრამის არჩევით კურსებს, დამატებით (მაინორ) პროგრამასა და თავისუფალ კრედიტებს შესაბამისი საათობრივი დატვირთვით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით, ვიზიტამდე ერთი დღით ადრე (1 ნოემბერს) ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი. ჯგუფის წევრებმა განსაზღვრეს ძირითადი კითხვები გასაუბრებისთვის.

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2 ნოემბერს. წინასწარ შეთანხმებული დღის განრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფის წევრები შეხვდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას (ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს), პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, პროგრამის სტუდენტებს, კურსამთავრებულებსა და დამსაქმებლებს. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; მულტიმედიაცენტრი; ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ტელე-რადიო ლაბორატორია; კომპიუტერული რესურს-ცენტრი, ნიუსრუმი და სამონტაჟო. ადგილზე გაეცნო სტუდენტების მიერ გამოცემულ ჟურნალ-გაზეთებს ქართულ და რუსულ ენებზე. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმა პროგრამის სილაბუსით გათვალსიწინებული ლიტერატურა და საბიბლიოთეკო ბაზებთან ხელმისაწვდომობა. ვიზიტის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად, მშვიდ და კოლეგიალურ გარემოში წარემართა მუშაობა. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა თსუ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლებს წარუდგინა პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა დადგენილი წესის თანახმად შესაბამისობაშია 1,4, 5 სტანდარტების მოთხოვნებთან; მეტწილად შესაბამისობაშია 2 და 3 სტანდარტების მოთხოვნებთან.

რეკომენდაციები:

- წარმოდგენილ პროგრამაში მისანიჭებელ კვალიფიკაციად მითითებულია სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი. ეროვნული საკვალიფიაციო ჩარჩოს მიხედვით (საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N 120/ნ) მიმართულება 07 არის სოციალური მეცნიერებები, შესაბამისად მისანიჭებელი კვალიფაკაცია უნდა იყოს სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი. რეკომენდებულია, რომ მისანიჭებელ კვალიფიკაციაში ჩასწორდეს ჩანაწერი შემდეგი ფორმულირებით - სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი;
- პროგრამის სწავლის შედეგები მეტწილად აღწერს იმ სწავლის შედეგებს, რასაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას, თუმცა რეკომენდებულია, რომ შედეგებში ჩვენ მკაფიოდ დავინახოთ ისეთი აუცილებელი დეტალების აღწერაც, როგორიც არის დღევანდელი მედია პროფესიონალისთვის თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მნიშვნელობის/გავლენის ცოდნა და მათი გამოყენების უნარ-ჩვევების ქონა. ამ ცოდნისა და უნარების გარეშე თანამედროვე კომუნიკაციების სამყაროში, მედიაში მუშაობა შეუძლებელია;
- რეკომენდებულია, რომ დისციპლინათა კატალოგს დაემატოს სასწავლო კურსი „ახალი მედია“, რომლის ფარგლებშიც სტუდენტი გამოიმუშავებს თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებისა და მულტიმედიურ რედაქციებში სრულფასოვნად მუშაობის უნარებს;
- რეკომენდებულია, რომ სასწავლო კურსებში გაძლიერდეს საზოგადოებასთან ურთიერთობის, მარკეტინგული კომუნიკაციებისა და რეკლამის თემატიკა;
- რეკომენდებულია, რომ დისციპლინების - „ტელემედია“, “საგამოძიებო ჟურალისტიკა“, “ახალი ამბების ჟურნალისტიკა”, „Новостная журналистика“ - სილაბუსებიდან ამოღებულ იქნეს გასული საუკუნის, იდეოლოგიზირებული, რუსულენოვანი ან რუსული ენიდან თარგმნილი სახელმძღვანელოები. მით უმეტეს, რომ ამ პროფესიულ საგნებში ორივე ენაზე - ქართულადაც და რუსულადაც არსებობს თანამედროვე ლიტერატურა;
- რეკომენდებულია, რომ ლიტერატურა განახლდეს შემდეგ სილაბუსებში: ჟურნალისტიკა მასობრივ კომუნიკაციის სისტემებში; რეკლამა და ხატოვანება; სამაუწყებლო რადიო 1, 2; გამოჩენილი ჟურნალისტები აშშ ჟურნალისტიკაში; გაზეთის - პრაქტიკული კურსი. სტრატეგიული პოლიტიკური კომუნიკაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობები მედიაში; თვითმენეჯმენტი, Стратегическая политическая коммуникация и ПР в СМИ; Реклама и образность; Этика и стандарты профессиональной ответственности; Анализ и точка зрения в журналистском произведении;
- რეკომენდებულია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ქართული და რუსული ენების ცოდნა - B1 დონე;
- რეკომენდებულია, რომ პროგრამის სწავლების ენის განსაზღვრისთვის, მკაფიოდ გაიმიჯნოს კონკრეტულად რომელ ენებზე ხორციელდება სასწავლო კურსები.
- სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს: სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას, შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას და სემესტრის საბოლოო გამოცდის შეფასებას. ამიტომ რეკომენდებულია, რომ საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის განხორციელების კონკრეტული ეტაპები და შეფასების კრიტერიუმები სილაბუსით იყოს ასახული.
- რეკომენდებულია, რომ ფაკულტეტმა ხელი შეუწყოს პროგრამაში ჩართული სტუდენტების საერთაშორისო გაცვლით პროგრამებზე რეალურ წვდომას და მათში მონაწილეობას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სასწავლო კურსებში მითითებული ლიტერატურის მუდმივ განახლებას;
- სასურველია, შეფასების სისტემაში მითითებული იყოს შესაფასებელი აქტივობის არა მხოლოდ რაოდენობა, არამედ პერიოდულობაც;
- სასურველია, რომ სასწავლო კურსებს მიზნის, შინაარსისა და შედეგების გათვალისწინებით, ჰქონდეთ ინდივიდუალური, მკაფიოდ რანჟირებული და გამჭვირვალე შეფასება;
- პროგრამის განვითარების მიზნით, სასურველია, გაზიარებულ იქნას დამსაქმებლის ინტერესი (ერთ-ერთი ასეთი გამოიკვეთა დამსაქმებელთან ინტერვიუში) და პროგრამას დაემატოს დისციპლინა "კონფლიქტების გაშუქება";
- სასურველია, რომ სასწავლო კურსს „მედიისამართლის" ლიტერატურაში სავალდებულო სახელმძღვანელოდ მითითებული იყოს წიგნი ს. ჯორბენაძის, უ. ბახტაძის, ზ. მაჭარაძის თანაავტორობით, თბილისი 2014;
- სასურველია, რომ უსდ-მ მეტად უზრუნველყოს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის საერთაშორისო პროგრამებში/ პროექტებში თანამონაწილეობა;
- სასურველია, რომ გამოინახოს მეტი ფინანსური რესურსი სესიების, კონფერენციების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზებისთვის;
- სასურველია, მოხდეს სასწავლო პროცესის ისე დაგეგმვა, რომ პროგრამის სტუდენტებმა შეძლონ გარემოსთან უკეთესი ინტეგრაცია.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ შემოთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს მნიშვნელოვანი დატვირთვა, ვინაიდან ძირითადად, მისი სამიზნე ჯგუფებია არაქართულენოვანი საქართველოს მოქალაქეები და უცხოეთის (ძირითადად დსთ ქვეყნების) ის მოქალაქეები, რომელთაც საქართველოში ცხოვრება და საქმიანობა სურთ. ეს განსაკუთრებულ შესაძლებლობას ქმნის მათთვის, ვისაც საქართველოს სოციუმში ინტეგრაციის, პროფესიონალად ჩამოყალიბებისა და დასაქმების სურვილი აქვს. სფერო კი, რომელსაც ამ პროგრამის სტუდენტები ეუფლებიან და მიზანი, რომ მათ ორ ენაზე შეძლონ მასობრივი კომუნიკაციის სფეროში მუშაობა, ძალიან მნიშვნელოვანია ოკუპირებული ქვეყნისთვის, სადაც რბილი ძალა ძირითადად სწორედ რუსულ ენაზე მოქმედებს.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის ხელმძღვანელმა ინტერვიუში აღნიშნა, რომ სააკრედიტაციოდ მომზადების პროცესში განახლდა და პროგრამის კურიკულუმთან სრულ შესაბამისობაში მოვიდა პროგრამის ნარატიული ნაწილი - მისი აღწერილობა, პროგრამის მიზანი, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა დასაქმების სფეროები; ასევე მკაფიოდ დაკლასიფიცირდა ის ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომლებსაც სტუდენტი იძენს და გამოიმუშავებს პროგრამაზე სწავლის პერიოდში. პროგრამიდან ამოღებულ იქნა ის არჩევითი სასწავლო კურსები, რომლებიც ფარავდნენ და/ან დუბლირებას უკეთებდნენ პროგრამის ძირითად სასწავლო კურსებს ან არ შეესაბამებოდნენ სწავლების საფეხურს.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამის მიზანი შეესაბამება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომელიც ითვალისწინებს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისა და საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას. პროგრამის მიზანი ნათლად არის ჩამოყალიბებული. თვითშეფასების ანგარიშში ვკითხულობთ, რომ პროგრამა ითვალისწინებს მედიისა და კომუნიკაციათმცოდნეობის დარგის ფართო სპექტრის, ჟურნალისტის, საზოგადოებასთან ურთიერთობის, სარეკლამო ბიზნესის სპეციალისტის მომზადებას. ასევე, ნათქვამია, რომ ეს არის ენობრივად კომპონირებული პროგრამა, რაც კურსდამთავრებულებს სთავაზობს არჩევანს, საკუთარი შეხედულებით დასაქმდნენ როგორც ქართულ, ისე რუსულენოვან მედიაორგანიზაციებში და მედიასტრუქტურებში, რომლებიც ქართულ და რუსულ ენებზე ოპერირებენ პარალელურ რეჟიმში. ეს გარემოება აქტუალურია საქართველოს თანამედროვე მედიისთვის, რადგანაც ორივე ენაზე შექმნილი პროფესიული ხარისხიანი მედიური პროდუქტი ქართულ მედიას მეტ ეფექტიანობას შესძენს რეგიონულ კონტექსტში. პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის მიზნებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ▪ პროგრამის მიზნები; ▪ საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ თსუ-ის მისია https://www.tsu.ge/data/file_db/PR/2017-2021.pdf; https://www.tsu.ge/en/about/mission_statement ▪ თსუ-ის სტრატეგიული განვითარების გეგმა https://www.tsu.ge/data/file_db/PR/2017-2021.pdf ▪ თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა. https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/strategia%20.pdf ▪ პროგრამის თვითშფასების ანგარიში ▪ დამსაქმებლებთან შეხვედრის ოქმი , 22 იანვარი 2018 წელი. ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ შემოთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს მნიშვნელოვანი დატვირთვა, ვინაიდან მისი სამიზნე ჯგუფებია ძირითადად არიან არაქართულენოვანი საქართველოს მოქალაქეები და უცხოეთის (ძირითადად დსთ ქვეყნების) ის მოქალაქეები, რომელთაც საქართველოში დაბრუნება, ცხოვრება და საქმიანობა სურთ. ეს განსაკუთრებულ შესაძლებლობას ქმნის მათთვის, ვისაც საქართველოს სოციუმში ინტეგრაციის, პროფესიონალად ჩამოყალიბებისა და დასაქმების სურვილი აქვს. სფერო კი, რომელსაც ამ პროგრამის სტუდენტები ეუფლებიან და მიზანი, რომ მათ ორ ენაზე შეძლონ მასობრივი კომუნიკაციის სფეროში მუშაობა, ძალიან მნიშვნელოვანია ოკუპირებული ქვეყნისთვის, სადაც რბილი ძალა ძირითადად სწორედ რუსულ ენაზე მოქმედებს.
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამის (ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია) სტრუქტურაში შემავალი სასწავლო კურსებისა და მოდულების ერთობლიობა მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას, რომელიც შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოთი განსაზღვრულ საბაკალავრო სწავლების აკადემიური განათლების სწავლის შედეგებს. სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. პროგრამის სტრუქტურაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსებში მკაფიოდ არის გამიჯნული თითოეული საგნის, სასწავლო დისციპლინის მიზანი და სწავლის შედეგები, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და კომპეტენციების მკაფიოდ გამიჯვნას. პროგრამის სწავლის შედეგების შემმუშავებელმა ჯგუფმა შედეგების ფორმირებისას გაითვალისწინა ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის თემატიკა; სასწავლო მეთოდოლოგია; შეფასების სისტემა; მატერიალური და ადამიანური რესურსი. პროგრამაში ჩართული პერსონალის მიერ დამუშავდა პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, რომელიც ასახავს რომელი სასწავლო კომპონენტის მიერ მიიღწევა შედეგი.

სწავლის შედეგის პირველი დონე მიიღწევა ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციების საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებულ დისციპლინებში, რომლებიც I-IV სემესტრებში ისწავლება და გულისხმობს:

(ა) კომუნიკაციათმცოდნეობის, მედიისა და ჟურნალისტიკის, როგორც მედიის პარადიგმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის, არსის გაცნობიერებას - მათ შორის ურთიერთკავშირისა და ბმების დადგენას;

(ბ) მედიის მაკრო და მიკროდისკურსებში გაცნობიერება და თითოეული მათგანის სპეციფიკის შეთვისება, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად.

(გ) ხდომილების ინფორმაციული ღირებულებების გაცნობიერება და მათი რეალიზაცია პრაქტიკულად ახალი ამბებისა და ანალიტიკურ ჟურნალისტიკაში;

(დ) მედიის ფუნქციონირების ნორმატიული: სამართლებრივი და ეთიკური - სტანდარტების შესწავლა და გაცნობიერება;

სწავლის შედეგის მეორე დონე მიიღწევა საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებულ დისციპლინებში, რომლებიც V-VIII სემესტრებში ისწავლება:

(ა) სტუდენტისათვის ნაცნობი მედიური დისკურსების ანალიზის უნარს; ანალიტიკური მიდგომებისა და ტექნიკების ფლობის უნარს;

(ბ) ჟურნალისტიკისა და მასობრივი კულტურის, ჟურნალისტიკისა და დოკუმენტური კინოს, ჟურნალისტიკისა და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის შინაარსობრივი და კულტურული ბმების ათვისება თანამედროვე მედიასივრცეში;

(გ) ისეთი მედიური პროდუქციის შექმნა და პარამეტრიზაცია, რომლებიც სტანდარტული მიდგომის ფარგლებში ორიგინალურ, განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს. მეტყველების კულტურის შეთვისება და გამოყენება.

ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასწავლო კურსები და მოდულები მეტწილად უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების შესაბამისობას ბაზრის მოთხოვნებთან, თუმცა სათანადოდ ვერ ახდენენ პროგრამის მიზნებში აღნიშნული რამდენიმე მიმართულებით - სარეკლამო ბიზნესისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ასევე, სტუდენტი ამ პროგრამის მიხედვით საერთოდ ვერ ახდენს ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნისა და უნრების შეძენა/გამომუშავებას ახალი მედიის სფეროში. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარის, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარის, მაუწყებლობის ყველა პლატფორმაზე (პრესაში, რადიოში, ტელევიზიაში, ინტერნეტში) მუშაობის უნარის გაძლიერება/გავრცობა ხელს შეუწყობს პროფესიულად დასაქმების მაჩვენებლის ზრდას, რომელიც მოცემულ ეტაპზე შეადგენს გამოკითხულ კურსდამთავრებულთა მხოლოდ 35 %-ს. ამ აბზაცში აღნიშნული მოსაზრებები პირდაპირ კავშირშია პროგრამის აღწერასთან, ამიტომ კონკრეტულ რეკომენდაციებს ნახავთ ქვემოთ, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის კომენტირების ნაწილში.

პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით. უსდ-ს აქვს სწავლების შედეგების რუკა, სადაც წარმოდგენილია საგნობრივი ჩამონათვალის შედარება იმ შედეგებთან, რომლებზეც გათვლილია და ორიენტირებული თითოეული სასწავლო კურსი.

პროგრამა შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;

- სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლისა და სწავლების შედეგები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- კურიკულუმის რუკა;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;
- დამსაქმებლებთან შეხვედრის ოქმი, 22 იანვარი 2018.
- ინტერვიუ პროგრამის შემმუშავებელ ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემურ/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

- პროგრამის სწავლის შედეგები მეტწილად აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რასაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. თუმცა რეკომენდებულია - შედეგებში მკაფიოდ აღიწეროს დღევანდელი მედია პროფესიონალისთვის თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მნიშვნელობის/გავლენის ცოდნა და მათი გამოყენების უნარ-ჩვევები. თანამედროვე საკომუნიკაციო გარემოში ადაპტაცია საინფორმაციო და ტექნოლოგიური უნარების გარეშე შეუძლებელია.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან	V			

პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღნიშნულ საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები განსაზღვრულია საკუთრივ პროგრამის აღწერილობაში, რაც სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. საბაკალავრო პროგრამაზე „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია“ სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რომელმაც ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე პროგრამაზე დაშვების პირობები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად“. პროგრამაზე სწავლის მსურველი პირი ინფორმაციას პროგრამაზე დაშვების შესახებ ეცნობა ერთიანი ეროვნული საგამოცდო ცენტრისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდებზე. ვიზიტის ფარგლებში გამოვლინდა, რომ არსებობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილობითი პასუხი (17.05.2018, N7273/01-0306) თსუ-ს რექტორის წერილის საპასუხოდ, რომელშიც აღნიშნულია, რომ თსუ-ს უარი ეთქვა, რუსულ ენაზე განახორციელოს ქართულ-რუსული საბაკალავრო პროგრამა “ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია”. დღეს წარმოდგენილი პროგრამა დოკუმენტების მიხედვით, ხორციელდება ქართულ ენაზე, რუსულენოვანი კომპონენტებით. ექსპერტების ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტს პროგრამით განსაზღვრული დისციპლინებიდან (ქართული ენის გარდა) ნებისმიერი შეუძლია ისწავლოს როგორც ქართულ, ასევე, რუსულ ენაზე. ასევე, გამოიკვეთა, რომ ამ შესაძლობლობიდან გამომდინარე, სტუდენტები უმეტესად ირჩევენ საგნებს რუსულ ენაზე. რაც წინააღდეგობაშია „ზოგადი განათლების შესახებ კანონთან“ (მუხლი 4. უმაღლესი განათლების ენა), რომლის თანახმად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზური (სხვა ენაზე სწავლება, გარდა ინდივიდუალური სასწავლო კურსებისა, დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან). აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულება და/ან შეთანხმება არ არის წარმოდგენილი. ინტერვიუს პროცესში, აღინიშნა, თითქოს პროგრამაში ქართული და რუსული საგნების თანაფარდობა არის 60/40, რაც პროგრამის შესწავლის შედეგად არ დადასტურდა. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, აღნიშნული საკითხი ძირეულად არის გადასახედი. პროგრამის სწავლების ენის განსაზღვრისთვის, აუცილებელია გაიმიჯნოს კონკრეტულად რომელ ენებზე ხორციელდება სასწავლო კურსები. აქვე, აუცილებელია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ქართული ენა, B1 დონე. ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამით არ ისწავლება რუსული ენა,

სასურველია, წინაპირობად, როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის განისაზღვროს რუსული ენა, B1 დონე. პროგრამა ენების კომპეტენციის B1 დონის გარეშე, ვფიქრობთ, სტუდენტის მიერ ვერ იქნება დაძლეული. აღნიშნული წინაპირობის დაშვების შემთხვევაში კი, სტუდენტი ქართული ენის B1 დონის ცოდნას გაიუმჯობესებს პროგრამით გათვალისწინებული ქართული ენის სავალდებულო სასწავლო კურსებით, რაც საშუალებას მისცემს მას ძირითადად აირჩიოს დისციპლინები ქართულ ენაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ საგანმანათლებლო პროგრამა; ➢ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი; ➢ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ➢ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (კრიტერიუმები და პროცედურები); ➢ ვებგვერდი; ➢ საქართველოს განათლების და მეცნიერების *სამინისტროს(ძველი დასახელებით მივუთითეთ)* ბრძანება 17.05.2018, N7273/01-0306. ➢ ინტერვიუ უნივერისტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან.
რეკომენდაციები: ➢ რეკომენდებულია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ქართული და რუსული ენების ცოდნა - B1 დონე. ➢ პროგრამის სწავლების ენის განსაზღვრისთვის რეკომენდებულია გაიმიჯნოს კონკრეტულად რომელ ენებზე ხორციელდება სასწავლო კურსები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია თსუ-ში მოქმედი პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით - დადგენილება #153/2017 - „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგისა და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქციისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ“. პროგრამის დასრულებისთვის სტუდენტს ესაჭიროება 240 კრედიტი, მათ შორის: ➢ საფაკულტეტო საგნები - 45 კრედიტი (25 - სავალდებულო, 5 - არჩევითი, 15 - საფაკულტეტო შესავალი კურსები); ➢ სავალდებულო საგნები სპეციალობის მიხედვით - 65 კრედიტი; ➢ არჩევითი საგნები სპეციალობის მიხედვით - 55 კრედიტი; ➢ კრედიტები დამატებით სპეციალობაში - 60 კრედიტი; ➢ თავისუფალი კრედიტები -15 კრედიტი საბაკალავრო პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსების შინაარსი მოცემულია შესაბამის სილაბუსებში, რომლებიც, საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად, მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: სასწავლო კურსის სახელწოდება; კურსის ავტორის ვინაობა; ლექტორის ვინაობა, სტატუსი, აკადემიური ხარისხი და საკონტაქტო ინფორმაცია; სასწავლო კურსის სტატუსი; მიზნები; -კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად (ECTS); კურსზე დაშვების წინაპირობები; სწავლის შედეგები; სასწავლო კურსის შინაარსი (ძირითადი თემები); სწავლების/სწავლის მეთოდები; შეფასების კრიტერიუმები და შეფასების სტრუქტურა; ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა; დამატებითი ინფორმაცია/პირობები. საბაკალავრო პროგრამა („ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია") ითვალისწინებს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს, შედგება სასწავლო კომპონენტებისაგან, მოიცავს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ფართო პროფილის სპეციალისტის მომზადებას. კერძოდ: **ჟურნალისტიკის, მედიისა და კომუნიკაციათმცოდნეობის არსში გაცნობიერებას უზრუნველყოფენ შემდეგი სასწავლო კურსები:** (1) ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი; (2) ჟურნალისტიკა მასობრივი კომუნიკაციების სისტემაში; (3) მსოფლიოს მედიასისტემები; (4) ახალი ამბების ჟურნალისტიკა; (5) ანალიზი და თვალსაზრისი ჟურნალისტიკაში; (6) საგამოძიებო ჟურნალისტიკა; (7) მასობრივი კულტურა და მედიატექსტის თავისებურებები; (8) ხელოვნების ნიმუშების რეცენზირება მედიაში. **კომუნიკაციათმცოდნეობის ორი მაკროდისკურსის არსში გაცნობიერებას (საზოგადოებასთან ურთიერთობები, რეკლამა და მარკეტინგი) უზრუნველყოფენ:** (1) რეკლამა და ხატოვანება მედიაში; (2) პოლიტიკური კომუნიკაცია და პიარი მის-ში; (3) საჯარო გამოსვლა;

ჟურნალისტიკის, მედიის ნორმატიული და ღირებულებრივი ორიენტირებში გაცნობიერებას უზრუნველყოფენ შემდეგი სასწავლო კურსები:
(1) მედიასამართალი; (2) ეთიკა და პროფესიული პასუხიმგებლობის სტანდარტები;
(3) საზოგადოებრივი აზრი და მედია; (4) ევროპული კანონმდებლობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ.
ჟურნალისტიკისა და ჟურნალისტის პროფესიის ისტორიასა და რეტროსპექტივას როგორც გლობალური, ისე ლოკალური მასშტაბით სტუდენტები შეისწავლიან შემდეგი სასწავლო კურსების გავლის შედეგად:
(1) ქართული ჟურნალისტიკის ისტორია; (2) ჟურნალისტის პროფესია ისტორიული ეპოქების კონტექსტში; (3) მსოფლიოს მედიასისტემები; (4) გამოჩენილი სახელები აშშ-ის ჟურნალისტიკაში.
პრაქტიკული მოდულები ხელს უწყობენ მყარი პროფესიული ჩვევებისა და უნარების გამომუშავებას ჯერ კიდევ საბაკალავრო საფეხურზე სწავლის პერიოდში:
(1) გაზეთი - პრაქტიკული კურსი; (2) ჟურნალი - პრაქტიკული კურსი; (3) თვითმენეჯმენტი პრაქტიკულ ჟურნალისტიკაში; (4) რადიო 2 - პრაქტიკული; (5) სატელევიზიო მედია 2 - პრაქტიკული; (6) ოპერატორის ხელოვნება დოკუმენტურ კინოში; (7) ფოტოჟურნალისტიკა; (8) მეტყველების კულტურა 1 და 2.
მაუწყებლობის სხვადასხვა პლატფორმების გაცნობა და შეთვისება ხდება შემდეგი სასწავლო კურსების მეშვეობით: თითოეული მოდულის შესწავლა გულისხმობს მულტიმედიური პლატფორმის გამოყენებას ეფექტური მედიაპროდუქციის შესაქმნელად):
(1) სატელევიზიო მედია 1; (2) რადიო 1; (3) დოკუმენტური ფილმი - როგორც მკს-ის ნაირსახეობა და მათი კონვერგენცია ციფრულ ფორმატში; (4) სატელევიზიო მაუწყებლობის ტიპები: მოდელები და ისტორია.
მედიასა და კომუნიკაციათმცოდნეობაში კვლევების სპეციფიკას, რაც გულისხმობს კვლევითი მიდგომებისა და საკვლევი ტექნიკების შესწავლას, სტუდენტები ეუფლებიან შემდეგი სასწავლო კურსების გავლის შედეგად:
(1) მიდგომები და ტექნიკები მედიური ანალიზისადმი (2) მედიის კვლევის მეთოდები; (3) მედიის ზემოქმედების თეორიები.
პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების ქრონოლოგიური წყობა თანმიმდევრული და ლოგიკურია. უმრავლეს პრაქტიკულ საგნებს გააჩნიათ შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები, რაც ლოგიკური და თანმიმდევრულია. კურიკულუმის დანარჩენი თეორიული სასწავლო კურსების უმრავლესობა წარმოდგენილია სემესტრული პრინციპით, წინაპირობების გარეშე, რაც, პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, სტუდენტს უადვილებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენას. პროგრამის შინაარსი მეტწილად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწვას. თუმცა კომუნიკათმცოდნეობის ორი მაკროდისკურსის არსში გაცნობიერების მოდული სუსტადაა წარმოდგენილი და სათანადოდ ვერ ახდენს პროგრამის მიზნებში აღნიშნული მიმართულებებით - სარეკლამო ბიზნესისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.
თანამედროვე მედია საშუალებების მზარდი გავლენა მსოფლიოში და საქართველოშიც, თვალნათელია. შესაბამისად, მნიშვნელოვანი ხდება მულტიმედიური უნარების მქონე ჟუნალისტების მომზადება. ექსპერთა ჯგუფის აზრით, საგანმანათებლო პროგრამის სასწავლო კურსები სტუდენტს არ აძლევს სრულფასოვან ცოდნასა და უნარებს აღნიშნულ სფეროში. ამიტომ ვფიქრობთ, საჭიროა, რომ პროგრამულ დისციპლინათა კატალოგს დაემატოს ახალი მედიის პრაქტიკული კურსი, რომელიც სტუდენტებს მოამზადებს სხვადასხვა ტიპის მედია პლატფორმისთვის თანაბარი სიძლიერის პროფესიონალური კონტენტის შესაქმენლად; ასევე, იმისთვის, რომ საკუთარი კონტენტის ინტერნეტით გასავრცელებლად ფლობდნენ ისეთი პროგრამებს, რომლებსაც მოიხმარენ ახალი ამბების თანამედროვე მულტიმედიური რედაქციები. აქ ვგულისხობთ მაგალითად, შემდეგ პროგრამებს: Adobe Photoship, Adobe Illustrator, Adobe Premer;

სოციალური ქსელები Facebook.com, Twitter, Instagram და ა.შ. კონტენტის გაზიარებისთვის განკუთვნილი პლატფორმები - YouTube, Vimeo, Flickr, Scribd და ა.შ. ასევე, აღვნიშნავთ, რომ ერთ-ერთმა დამსაქმელმა ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან ინტერვიუს პროცესში გამოთქვა სურვილი, რომ პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსი „მედია და კონფლიქტები“, რაც ჩავთვალეთ გასაზიარებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ➢ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; ➢ საგანმანათლებლო პროგრამა; ➢ სილაბუსები; ➢ კურიკულუმის რუკა; ➢ ვებგვერდი; ➢ გამოკითხვის შედეგები; ➢ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; დამსაქმებელთან.
რეკომენდაციები: ➢ რეკომენდებულია, რომ დისციპლინათა კატალოგს დაემატოს სასწავლო კურსი „ახალი მედია“, სადაც სტუდენტი გამოიმუშავებს თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარებს და მულტიმედიურ რედაქციებში სრულფასოვნად მუშაობას. ➢ რეკომენდებულია, რომ სასწავლო კურსებში გაძლიერდეს საზოგადოებასთან ურთიერთობის, მარკეტინგული კომუნიკაციებისა და რეკლამის თემატიკა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ➢ პროგრამის განვითარების მიზნით, სასურველია, გაზიარებულ იქნას დამსაქმებლის ინტერესი (ერთ-ერთი ასეთი გამოიკვეთა დამსაქმებელთან ინტერვიუში) და პროგრამას დაემატოს დისციპლინა “კონფლიქტების გაშუქება.“
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსების შინაარსი მოცემულია შესაბამის სილაბუსებში, რომლებიც, საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად, მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: სასწავლო კურსის სახელწოდება; კურსის ავტორის ვინაობა; ლექტორის ვინაობა, სტატუსი, აკადემიური ხარისხი და საკონტაქტო ინფორმაცია; სასწავლო კურსის სტატუსი; მიზნები; -კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად (ECTS); კურსზე დაშვების წინაპირობები; სწავლის შედეგები; სასწავლო კურსის შინაარსი (ძირითადი თემები); სწავლების/სწავლის მეთოდები; შეფასების კრიტერიუმები და შეფასების სტრუქტურა; ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა; დამატებითი ინფორმაცია/პირობები. თვითშეფასებისა დოკუმენტით და ინტერვიუების პროცესით დასტურდება, რომ სასწავლო კურსების დასახელებები მთლიანად შეესაბამება მედიისა და კომუნიკაციათმცოდნეობის პარადიგმის ლოგიკურ განშტოებებს. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა არის 5, ხოლო საბაკალავრო ან საკურსო ნაშრომისთვის -10. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა იცვლება სხვადასხვა კურსებში შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით; კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით დაცულია თანაფარდობა საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის. სასწავლო კურსის სილაბუსებში გათვლისწინებულია სწავლების/სწავლის მეთოდი/მეთოდები. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები სტუდენტს ძირითადად აძლევენ საბაზისო ცოდნას ჟურნალისტიკისა და კომუნიკაციათმცოდნეობის დარგის შესახებ და გამოუმუშავებენ პროფესიაში შესასავლელად აუცილებელ პრაქტიკულ უნარებს. თუმცა პრაქტიკული მოდულის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა საჭიროებს აუცილებელ გადახედვა/განახლებას, ვინაიდან სილაბუსების დიდ ნაწილში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია არ არის სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე, შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. კონკრეტულად: ➢ ქართულენოვან სილაბუსში - "ტელემედია" სავალდებულო ლიტერატურაში პირველ სახელმძღვანელოდ მითითებულია 1998 წელს, რუსულიდან ქართულ ენაზე ნათარგმნი და გამოცემული წიგნი "სატელევიზიო ჟურნალისტიკა" (გამომცემელი: მოსკოვის ლომონოსოვის სახ. უნივერსიტეტი), მაშინ, როდესაც ქართულ ბაზარზე არსებობს წვდომა თანამედროვე სახელმძღვანელოებზე. მაგალითად, საიტზე saba.com.ge უფასოა წვდომა ამერიკელი ავტორის, ფრედ შუკის ქართულენოვან თარგმანზე "სატელევიზიო რეპორტაჟის მომზადება და ტელეჟურნალისტიკა. ვიზუალური თხრობის გზამკვლევი" (2014); ➢ ქართულენოვან სილაბუსში „ახალი ამბების ჟურნალისტიკა" სავალდებულო ლიტერატურად მითითებულია: М.И. Шостак. Журналист и его произведение. М., 1998 г.; М.И. Шостак. Жанры газеты. М. 2000 г.; А.Я. Воскобойников., В. Юрьев. Журналист и информация (Профессиональный опыт западной прессы) М.,1993.; А.А. Тертычный. Жанры периодической печати. М., 2000; Лазарева Э. Заголовок в газете. Свердловск ,1989; Справочник для журналистов стран Восточной Европы. М., 1996. მაშინ როდესაც უნივერისტეტის ბიბლიოთეკაში არის თანამედროვე ლიტერატურა და მათ შორის მ. მენჩერის „ახალი ამბების წერა და გაშუქება", გამომცემლობა დიოგენე, თბილისი, 2013.

- ქართულენოვან სილაბუსში "საგამოძიებო ჟურნალისტიკა" სავალდებულო ლიტერატურად მითითებულია მხოლოდ რუსულენოვანი სახელმძღვანელოები 1998-2002 წწ: А.Тертычный. Расследовательская журналистика. М., 2002. В.Ворошилов. Журналистика. СПб., 2002. В.Ворошилов. Исследование и расследование в журналистике. М., 1998. Джон Уиллмен. Журналистские расследования: современные методы и техника. М., 1998 (русское издание). Дэвид Рэндалл. Универсальный журналист. М., 1998 (русское издание). ქართულ ბაზარზე არსებობს 2011 წელს თარგმნილი, აშშ-ს ილინიოსის უნივერსიტეტის პროფესორის ბრენტ ჰიუსტონის და ჟურნალისტ-გამომძიებელთა და რედაქტორთა ასოციაციის მიერ მომზადებული წიგნი „ჟურნალისტ-გამომძიებლის სახლმნძღვანელო: დოკუმენტების, მონაცემთა ბაზებისა და მეთოდების გზამკვლევი" (ითარგმნა და უმაღლეს სასწავლებლებში უფასოდ დარიგდა ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მიერ). ამას გარდა, <u>პორტალ საბაზე უფასოდ არის ხელმისაწვდომი 2</u>013 წელს გამოცემული მონაცემთა ჟურნალისტიკის სახელმძღვანელო. ინტერნეტში ღია წვდომაა ამერიკელი და ბრიტანელი ავტორების რუსულ ენაზე თარგმნილ სახელმძვანელოებზეც.
- რუსულენოვან სასწავლო კურსში, „ახალი ამბების ჟურნალისტიკა"-"Новостная журналистика" სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია არათუ მოძველებული, არამედ საბჭოთა პერიოდის წიგნი: Лазарева Э. Заголовок в газете. Свердловск, 1989. ასევე, ჟურნალისტიკისთვის სფეროსთვის ძალიან მოძველებული წიგნები: М.И. Шостак. Журналист и его произведение. М., 1998, А.Я. Воскобойников., В. Юрьев. Журналист и информация (Профессиональный опыт западной прессы) М.,1993. ინტერნეტწყაროებში ძებნის შედეგად ირკვევა, რომ მაგალითად, ერთ-ერთ მითითებულ ავტორს რუსულ ენაზე სახელმძღვანელო გამოცემული აქვს 2016 წელსაც.
- ქართულენოვან სილაბუსში „რეკლამა და ხატოვანება" სავალდებულო ლიტერატურად მითითებულია: Ф.Котлер. Основы маркетинга. М.,1997; Д.Денисон, Л.Тоби. Учебник по рекламе. М.,1996; В.Музыкант. Реклама. М.,1996; А.Назайкин. Рекламный отдел газеты. М.,1996; В.Григолия. Реклама и психология. Тб.,1972; Т.Гринберг. Политические технологии. М.,2006г., მაშინ, როდესაც ხელმისაწვდომია რეკლამის შესახებ ქართული თანამედროვე ლიტერატურა.
- ლიტერატურა გადასახედი და გასაახლებელია რუსულენოვან სასწავლო კურსში „ჟურნალისტიკა მასობრივი კომუნიკაციის სისტემაში" - "Журналистика в системе массовых коммуникации"; ასევე, ქართულენოვან სასწავლო კურსში „თვითმენეჯმენტი", სადაც ხელმისაწვდომია თანამედროვე ლიტერატურა. მაგ: პროექტების მენეჯმენტი, გ. შიხაშვილი, კ. რუსიძე, მერიდიანი, თბ. 2010 ; მედიის მენეჯმენტი, ზ. ბიოთჰერი, კონრად ადენაუერის ფონდი,თბ. 2011; ელექტრონული მედიის მენეჯმენტი (მაუწყებლობის თვითრეკლმა და მარკეტინგი) ნაწილი მეექვსე, პ. კ/ პრინგლი, მ. ფ. სტარი, უ. ი. მაკკავატი, ინტერნიუსი, 2011; მედიამენეჯმენტი-იან ლებლან უიქსი.ჯორჯ სილვი-მესამე გამოცემა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- თსუ-ს ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსები.
- ინტერვიუს სილაბუსის ავტორებთან , პროგრამის ხელმძღვანელთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ დისციპლინების - „ტელემედია", "საგამოძიებო ჟურალისტიკა", "ახალი ამბების ჟურნალისტიკა", „Новостная журналистика" - სილაბუსებიდან ამოღებულ

იქნეს გასული საუკუნის, იდეოლოგიზირებული, რუსულენოვანი ან რუსული ენიდან თარგმნილი სახელმძღვანელოები. მით უმეტეს, რომ ამ პროფესიულ საგნებში ორივე ენაზე - ქართულადაც და რუსულადაც არსებობს თანამედროვე ლიტერატურა. ➢ რეკომენდებულია ლიტერატურა განახლება შემდეგ სილაბუსებში: ჟურნალისტიკა მასობრივ კომუნიკაციის სისტემებში; რეკლამა და ხატოვანება; სამაუწყებლო რადიო 1, 2; გამოჩენილი ჟურნალისტების აშშ ჟურნალისტიკაში; გაზეთის - პრაქტიკული კურსი. სტრატეგიული პოლიტიკური კომუნიკაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობები მედიაში; თვითმენეჯმენტი, Стратегическая политическая коммуникация и ПР в СМИ; Реклама и образность; Этика и стандарты профессиональной ответственности; Анализ и точка зрения в журналистском произведении; Расследовательская журналистика; Вещательные Медиа TV-1; Вещательные Медиа TV-2.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ➢ სასურველია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სასწავლო კურსებში მითითებული ლიტერატურის მუდმივ განახლებას. ➢ სასურველია, რომ სასწავლო კურსს „მედისამართლის“ ლიტერატურაში სავალდებულო სახელმძღვანელოდ მითითებული იყოს წიგნი „მედიასამართალი“ ს. ჯორბენაძის, უ. ბახტაძის, ზ. მაჭარაძის თანაავტორობით, თბილისი 2014.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად უზრუნველყოფს სტუდენტების სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამის განხორციელების პერიოდში პროგრამის ფარგლებში მომზადდა 4 საკონფერენციო და 28

საკვალიფიკაციო ნაშრომი, პრაქტიკული კურსების გავლის შედეგად დაიბეჭდა ჟურნალ-გაზეთების 10 გამოშვება, მომზადდა სიუჟეტები (ახალი ამბავი). პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს მიხედვით, ის მუდმივად ცდილობს სტუდენტების ჩართვას სხვადასხვა პროექტებში. პროგრამის ხელმძღანელისა და 18 სტუდენტის თანამშრომლობით მიმდინარე წელს განხორციელდა პროექტი „მედიაწიგნიერება ეთნიკურად არაქართველი მოსწავლეთათვის“, რომელიც წარდგენილია აშშის საელჩოს საგრანტო კონკურსში. ასევე, ფაკულტეტის მიზნობრივი პროექტების კონკურსის გამარჯვებული გახდა სტუდენტისა და პროფესორის თანამშრომლობით განხორციელებული სამეცნიერო კვლევითი საკონკურსო პროექტი. კვლევით უნარებს ავითარებს საკვალიფიკაციო საბაკალავრო ნაშრომიც, რომლის შესრულების მსურველიც პროგრამაზე ყოველწლიურად იზრდება (ნაშრომი აქამდე არ ყოფილა სავალდებულო). მიუხედავად იმისა, რომ „ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის“ პროგრამა უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპონენტის დაგეგმვას და ორგანიზებას, ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ინტერვიუებისა და მულტიმედიაცენტრის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტებს აქვთ სივრცეები, სადაც შეუძლიათ პრაქტიკული გამოცდილების მიღება, 2018 წელს უსდ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, პრაქტიკის კომპონენტის სიმცირეს აღნიშნავენ როგორც სტუდენტები, ისე კურსდამთავრებულები. გამოკითხულთა 61% პრაქტიკული მეცადინეობების აუცილებლობას ხედავს; სტაჟირების ან პრაქტიკის შესაძლებლობებთან შეხება კი არ ჰქონია გამოკითხულთა უმრავლესობას. ცალკეულ სილაბუსებში გათვალისწინებული პრაქტიკული ნაწილის მოცულობის გასაზრდელად სასურველი იქნება საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული იყოს პრაქტიკა/სტაჟირების კურსი 5 კრედიტის მოცულობით. მით უმეტეს, რომ პროგრამას ჰყავს დამსაქმებლები საზოგადოებასთან ურთიერთობის საერთაშორისო კომპანია „ჯეპრა“; “Spanish News Agency EFE” და პორტალი „Sova. News”, რომლებიც ჩართულნი არიან პროგრამის განხორციელების პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ სტატისტიკური მონაცემები სტუდენტთა ჩართულობის შესახებ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში; ➢ პროგრამის თვიაშეფასების ანგარიში; ➢ სტუდენტების თანაავტორობით გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები; ➢ განხორციელებული პრაქტიკა; ➢ პრაქტიკის შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია; ➢ შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან და პრაქტიკის ობიექტებთან; ➢ უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ➢ მულტმედიაცენტრი; ➢ ინერვიუ მულტიმედია ცენტრის თანამშრომლებთან; პროგრამის ხელმღვანელთან; სტუდენტებთან ; დამსაქმებლებთან .
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

➢ სასურველია, რომ პრაქტიკული კომპონენტის მოცულობის გასაზრდელად, საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული იყოს პრაქტიკა/სტაჟირების კურსი 5 კრედიტის მოცულობით, არჩევით დისციპლინად მაინც.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სწავლა-სწავლების მეთოდები მრავალფეროვანია, რაც უზრუნველყოფს მაქსიმალურ ეფექტს - სტუდენტის მიერ სასწავლო მასალის ათვისებას და შესაბამისი შეფასების მიღებას; მეთოდები ითვალისწინებენ უცხოელი სტუდენტების ფაქტორს, მათ კულტურულ და სხვა ტიპის საჭიროებებს. სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ სტუდენტის ინდივიდუალური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებისთვის განსაზღვრულია ინდივიდუალური საკონსულტაციო საათები, თითოეული საგნის მიხედვით სოციალურ ქსელებში შექმნილია ჯგუფები/ვირტუალური აუდიტორია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ სწავლება-სწავლის მეთოდები; ➢ ინდივიდუალური გეგმები; ➢ ინტერვიუ აკადემიურ/ მოწვეულ პერსონალთან; სტუდენტებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების და უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად. პროგრამის სტუდენტთა დატვირთვა მოიცავს: ა) ლექციებზე დასწრება/აქტიურობას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, სასემინარო და პრაქტიკულ მეცადინეობას; ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას; გ) გამოცდების მომზადება–ჩაბარებას; დ) სხვა სახის საქმიანობას პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით (მედიური პროდუქციის მოსამზადებლად აუცილებელი საქმიანობა). პროგრამის სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებს (მაქსმიმუმი 60 ქულა) და დასკვნითი გამოცდის შეფასებას (მაქსიმუმი 40). შუალედური შეფასება სავალდებულოა. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება სტუდენტის მიერ შესაბამისი ქულის (სილაბუსით დადგენილი შეფასების ნახევარს პლუს 1 ქულა) მიღების შემთხვევაში. სასწავლო კურსი დაძლეულია 51 ქულის მიღების შემთხვევაში. დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა - მინიმუმ 11 ქულა. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ რომ სტუდენტები ინფორმაციას შეფასების სისტემის როგორც ქულობრივი, ისე ინსტიტიუციური ასპექტების შესახებ იღებენ პედაგოგისგან პირველივე ლექციაზე. სასწავლო კურსის სილაბუსებში ჩამოყალიბებულია შეფასების სისტემა და კრიტერიუმები. სასურველია, შეფასების სისტემაში მითითებული იყოს, თუ სასწავალო გეგმის რომელ კვირაშია გათვლისწინებული ესა თუ ის აქტივობა; ასევე, სილაბუსების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ სასწავლო კურსების მცირედ ნაწილს ერთი და იგივე ტიპის შეფასების კრიტერიუმები აქვს, მიუხედავად იმისა, თუ რა შინაარსს მოიცავენ ისინი. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო კურსებს ჰქონდეთ ინდივიდუალური და მკაფიოდ რანჟირებული შეფასებები. რაც შეეხება საბაკალავრო ნაშრომს, ფაკულტეტზე შემუშავებული საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის მიხედვით, საბაკალავრო ნაშრომს/პროექტს დადგენილი კრიტერიუმებით და წესით აფასებს რეცენზენტი, ხელმძღვანელი და დეკანის ბრძანებით შექმნილი კომისია.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება საჯარო დაცვის საფუძველზე. საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს უნდა მიაწოდოს საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღი და ნაშრომების დაცვის კომისიის შემადგენლობა (არანაკლებ 3 წევრისა) ერთი თვით ადრე. საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ. ხელმძღვანელი აფასებს ნაშრომს 40%–ის, ხოლო კომისია – 60%–ის ფარგლებში. პრეზენტაცია ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ. ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის წევრთა შეფასების საშუალო არითმეტიკულით. საბაკალავრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და სტუდენტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება, თუ მის მიერ მიღებული საბოლოო შეფასება მინიმუმ 51 ქულაა. საბაკალავრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია; საბაკალავრო ნაშრომის დაცვის პროცესი აისახება ოქმში, რომელსაც ადგენს კომისიის მდივანი. ოქმს თან უნდა ერთვოდეს ხელმძღვანელის და ასევე კომისიის მიერ დაწერილი საბოლოო შეფასების უწყისი, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება შესაძლებელია საჯარო დაცვის გარეშეც. ამ შემთხვევაში საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უნდა მიაწოდოს საბაკალავრო ნაშრომის განხილვის თარიღი მინიმუმ ერთი თვით ადრე. დეპარტამენტი გამოყოფს შემფასებელს/შემფასებლებს, რომელთა დასკვნა მტკიცდება დეპარტამენტის სხდომაზე. ორი ან მეტი შემფასებლის არსებობის შემთხვევაში საბოლოო ნიშანი გამოითვლება როგორც შეფასებების საშუალო არითმეტიკული. საბაკალავრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და სტუდენტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება, თუ მის მიერ მიღებული საბოლოო შეფასება მინიმუმ 51 ქულაა. საბაკალავრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია; საბაკალავრო ნაშრომის დაცვის პროცესი აისახება დეპარტამენტის სხდომის ოქმში. ოქმს თან უნდა ერთვოდეს საბოლოო შეფასების უწყისი, რომელსაც ხელს აწერენ მიმართულების სხდომის მონაწილეები.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:

ხელმძღვანელი აფასებს ნაშრომს 40 ქულით (დაცვაზე გასვლის წინაპირობაა 20 ქულა).

ა) შინაარსობრივი მხარე (30 ქულა):

➢ საკვლევი საკითხის რელევანტური თეორიების, პრინციპებისა და ფაქტობრივი მასალის ცოდნა და კრიტიკული გააზრება–10 ქულა;

➢ ანალიზის, არგუმენტებისა და დასკვნების გამართულობა - 10 ქულა;

➢ ნაშრომის ენობრივი და სტილისტური გამართულობა –10 ქულა.

ბ) ფორმალური მხარე: გაფორმება, ციტირება, სქოლიო, სარჩევი, ანოტაცია და ა.შ. – 10 ქულა

საბაკალავრო ნაშრომის პრეზენტაცია ფასდება 60 ქულით (ნაშრომი საჯაროდ დაცულად ჩაითვლება თუკი სტუდენტი საჯაროდ დაცვაზე მიიღებს მინიმუმ 31 ქულას).

ა) ნაშრომის შინაარსობრივი მხარე (30 ქულა):

➢ საკვლევი საკითხის აქტუალობა - 5 ქულა;

➢ კვლევის მეთოდოლოგია, პირველადი/მეორადი მონაცემების ანალიზის სიცხადე – 5 ქულა;

➢ თეორიის და ემპირიული მასალის საკვლევი საკითხის რელევანტური თეორიების, პრინციპებისა და ფაქტობრივი მასალის ცოდნა და კრიტიკული გააზრება–10 ქულა;

➢ ანალიზის, არგუმენტებისა და დასკვნების გამართულობა -10 ქულა.

ბ) პრეზენტაციის შინაარსობრივი მხარის შეფასება 20 ქულა):

➢ საპრეზენტაციო მოხსენების რელევანტურობა საბაკალავრო ნაშრომის შინაარსთან– 5 ქულა;

➢ არგუმენტირებული მსჯელობა – 5 ქულა;

➢ აუდიტორიასთან კომუნიკაცია ეთიკის სტანდარტების გათვალისწინებითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით–10 ქულა .

გ) ნაშრომისა და პრეზენტაციის ფორმალური მხარე – 10 ქულა;

➢ საპრეზენტაციო მასალის გაფორმება და შესრულების დონე – 10 ქულა;

➢ ნაშრომის/პრეზენტაციის ენობრივი და სტილისტური გამართულობა –10 ქულა (ვფიქრობთ, მექანიკური შეცდომაა და უნდა იყოს 5 ქულა).

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შეფასების ზემაღნიშნული წესი ვერ უზრუნველყოფს სტუდენტის სემესტრული მიღწევების სრულად შეფასებას. სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება უნდა ითვალისწინებდეს: სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას, შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას და სემესტრის საბოლოო გამოცდის შეფასებას. აუცილებელია საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის განხორციელების კონკრეტული ეტაპები და შეფასების კრიტერიუმები სილაბუსით იყოს ასახული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო კურსების სილაბუსები - შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 05 იანვრის #3 ბრძანება.
- შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა;
- ვებგვერდი;
- ინტერვიუ აკადემიურ/ მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან.

რეკომენდაციები:

- სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს: სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას, შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას და სემესტრის საბოლოო გამოცდის შეფასებას. ამიტომ რეკომენდებულია, რომ საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის განხორციელების კონკრეტული ეტაპები და შეფასების კრიტერიუმები სილაბუსით იყოს ასახული.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, შეფასების სისტემაში მითითებული იყოს შესაფასებელი აქტივობის არა მხოლოდ რაოდენობა, არამედ პერიოდულობაც;
- სასურველია, რომ სასწავლო კურსებს მიზნის, შინაარსისა და შედეგების გათვალისწინებით, ჰქონდეთ ინდივიდუალური, მკაფიოდ რანჟირებული და გამჭვირვალე შეფასება;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		V		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: პროგრამაზე ხორციელდება სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და დასაქმების შესახებ. ამ უკანასკნელს ხელს უწყობს უკვე პროგრამის დასაქმებულ კურსდამთავრებულებსა და სტუდენტებს შორის არსებული მჭიდრო ურთიერთდახმარება, რაც აღინიშნა ორივე მხარის მიერ. ყოველი სასწავლო კურსის დასაწყისში სტუდენტი იღებს სრულ ინფორმაციას სილაბუსით გათვალისიწნებული მოთხოვნების შესახებ. სტუდენტებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ ისინი გარკვეულნი არიან სასწავლო პროცესის ყველა ძირითად საკითხში (რომელი საგნებია სავალდებულო, არჩევითი, როგორ უნდა მოახდინონ არჩევა, რა საგანს რამდენი კრედიტი ეთმობა და ა.შ.) სილაბუსებში მითითებულია პედაგოგთა საკონტაქტო ინფორმაცია, რაც უზრუნველყოფს უკუკავშირს სტუდენტსა და პედაგოგს შორის. პროგრამის განხორციელების პროცესში აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა სოციალური ქსელიც, როგორც საკომუნიკაციო საშუალება, რაც აღინიშნა როგორც ლექტორების, ასევე სტუდენტთა მიერ. ფაკულტეტზე მოქმედებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, რომელიც სტუდენტს უწევს კონსლუტაციას სემესტრული რეგისტრაციის საორგანიზაციო საკითხებისა და ინდივიდუალური პროფილის შექმნაში და ა.შ.

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სტანდარტის ერთ-ერთ გასაუმჯობესებლ მხარეს წარმოადგენს სტუდენტსა და ლექტორს შორის კომუნიკაციის ხარისხის მატება და მისთვის ორმხრივი ხასიათის მიცემა. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, ლექტორებს, ხშირ შემთხვევაში, დირექტიული მიდგომა აქვთ სტუდენტებთან და სწორედ ეს იგულისხმება კომუნიკაციის გაუმჯობესებაში, რომ მიდგომა უფრო სტუდენტზე ორიენტირებული და თანამშრომლობითი გახდეს. ზოგადად, სტუდენტებთან ინტერვიუს მიხედვით, ისინი დადებითად არიან განწყობილი პროგრამის განმახორციელებელი პირების მიმართ და პროგრამის მიმართ გრძნობენ გარკვეულ მიკუთვნებულობას. პროგრამის დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვასა და ასევე, სამეცნიერო-კვლევით/შემოქმედებით/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შერსულებას. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია მრავალფეროვანი სერვისები და ექსტრაკურიკულური აქტივობები. გაფორმებულია მემორანდუმები სხვადასხვა მედიადაწესებულებასთან, რაც სტუდენტებისთვის ქმნის სტაჟირების შესაძლებლობას. თვითონ პროგრამა მოიცას პრაქტიკულ საგნებს, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს ეძლევათ საშუალება „მულტიმედია ცენტრში“ გამოცადონ თავიანთი პრაქტკული უნარები. ტექნიკურად კარგად აღჭურვილი ცენტრი ამის საშუალებას იძლევა. ასევე, ფაკულტეტზე არის მიზნობრივი კვლევითი პროექტების კონკურსი სტუდენტებისა და პროფესორების ერთობლივი მონაწილეობით. 2016 წელს მიზნობრივი პროექტების კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდა პროექტი „ქართული მედია - ოფიციალური და არაოფიციალური ისტორიების ჩანაცვლების ძირითადი უბანი. 1987-1990 წლები. გლასნოსტის ქართული ქეისი“, რომელშიც ჩართული იყო პროგრამის ხელმძღვანელი და ერთ-ერთი სტუდენტი. მიუხედავად ზემოთქმულისა, როგორც თვითშეფასების ანგარიშის, ასევე სტუდენტებთან ინტერვიუების მიხედვით, სტუდენტთა კვლევით/შემეცნებით-კულტურული საქმიანობის გამრავალფეროვნება ერთ-ერთი გასაუმჯობესებელი მხარეა. სტუდენტები პროგრამაში ჩართული პერსონალის საშუალებით იღებენ ინფორმაციას სტუდენტური პროექტების, გაცვლითი პროგრამებისა და საგრანტო კონკურსების შესახებ. სტუდენტების ინფორმირებას საერთაშორისო სასწავლო პროგრამის შესახებ უზრუნველყოფს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტის ვებგვერდის მეშვეობით. პროგრამის განმახორციელებლებს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული „დოიჩე ველესთან“ და არის აქტიური თანამშრომლობა. თუმცა პროგრამის განხორციელების ამ ეტაპისთვის არ ფიქსირდება სტუდენტთა მიერ გაცვლითი პროგრამით სარგებლობის თითქმის არც ერთი შემთხვევა. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს 100-მდე საერთაშორისო გაცვლითი პროგრამა აქვს, რაც აღინიშნა კიდეც ადმინისტრაციასთან საუბრის დროს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ პროგრამის თვით-შეფასების ანგარიში; ➢ ინტერვიუ სტუდენტებთან; აკადემიურ პერსონალთა; ➢ სტატისტიკური მონაცემები სხვადასხვა პროექტებში ჩართული სტუდენტების შესახებ; ➢ სტუდენტთა გამოკითხვები; ➢ განხორციელებული აქტივობები.
რეკომენდაციები: ➢ რეკომენდებულია, რომ ფაკულტეტმა ხელი შეუწყოს პროგრამაში ჩართული სტუდენტების საერთაშორისო გაცვლით პროგრამებზე რეალურ წვდომას და მათში მონაწილეობას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		V		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ: უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი - შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორები, რომელთაც აქვთ მედიის, კომუნიკაციათმცოდნეობის სწავლების, შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხი, მუშაობის, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება. ასევე, პრაქტიკოსი ჟურნალისტები, რომლებიც მოწვეული პედაგოგის სტატუსით სპეციფიკურ პრაქტიკულ მოდულებს უძღვებიან. პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი ბოლო 5 წლის განმავლობაში ასეთია: • ადგილობრივ ჟურნალებში -10; • საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 47; • ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 8;

- საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 85

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა არის 37, მათ შორის 20 აკადემიური პერსონალია, რომელთა შორის 19 აფილირებულია თსუ-თან. აკადემიური პერსონალიდან პროფესორი არის 5, ასოცირებული პროფესორი არის 9, ასისტენტ-პროფესორი კი- 6. პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან - 55%/45%.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა ინტერვიუში აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის დროს გათვალისწინებული იქნა შემდეგი ფაქტორები: ა) მიმართულების/დარგის/ქვედარგის სპეციფიკა; ბ) სტუდენტების არსებული რაოდენობა; გ) სტუდენტების დაგეგმილი რაოდენობა; დ) შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის, მასწავლებლების რაოდენობა; ე) მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში - აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით არის 20/117, ხოლო აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით - 37/117. პროგრამას ემსახურება შესაბამისი კომპეტენციის მქონე 4 დამხმარე პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის საორგანიზაციო საკითხების გადაჭრას. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა განისაზღვრება თსუ-ში მოქმედი რეგულაციებით.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. ასევე, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება–განვითარებასთან დაკავშირებულ პროცესში აკადემიური პერსონალის ჩართულობას; ზედამხედველობს აკადემიური პერსონალის მიერ თავის ვალდებულებათა სრულფასოვნად შესრულებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება N88/02-01 , 17.04.2018.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ბრძანება 05/03, 07.03.2018
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად მოწვეული პერსონალის შერჩევის წესი;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ხორციელდება ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ ინიცირებული ორი პროექტი: (1) მიზნობრივი კვლევითი პროექტების კონკურსი სტუდენტებისა და პროფესორების ერთობლივად მონაწილეობის აუცილებელი პირობით; (2) სახელმძღვანელოების კონკურსი საფაკულტეტო სასწავლო კურსებისთვის (აუცილებელი პირობა - სახელმძღვანელოს შინაარსის სილაბუსთან შესაბამისობა; შესაბამისი ქართულენოვანი სახელმძღვანელოს არარსებობა ან შინაარსის ექსკლუზიურობა). 2016 წელს მიზნობრივი პროექტების კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდა პროექტი „ქართული მედია - ოფიციალური და არაოფიციალური ისტორიების ჩანაცვლების ძირითადი უბანი. 1987-1990 წლები. გლასნოსტის ქართული ქეისი“, რომელიც წარადგინეს პროგრამის ხელმძღვანელმა და პროგრამის სტუდენტმა. 2018 წელს სახელმძღვანელოების კონკურსში გაიმარჯვა საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებულმა ორმა სახელმძღვანელომ: 1) „მიდგომები და ტექნიკები მედიისა და კომუნიკაციების კვლევებში“; 2) „პოლიტოლოგიის შესავალი“. ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება არის პერსონალის ინტერნაციონალიზაციის პროცესში აქტიური ჩართვა. სწავლების მეთოდოლოგიის ინტერნაციონალიზაცია იყო მიზანი იმ ერთობლივი სემინარისა, რომელიც ფაკულტეტისა და მიმართულების ადმინისტრაციამ მოაწყო „დოიჩე ველეს აკადემიასთან ერთად“: 1) 2013-14 წლებში დოიჩე ველე აკადემიის მიერ ჩატარდა 3 ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობდა აკადემიური პერსონალი. თემები: „სწავლების თანამედროვე მეთოდები“, „TOT: ახალი მედია და ინოვაციები“, “სამართალი და სასამართლო რეპორტირება“. გაიცა სერტიფიკატები. 2) 2016 წლის 19-23 მარტს. დოიჩე ველე აკადემიის“ ტრენერმა ტორსტენ კოლონმა საგანგებო საწვრთნელი სესიები ჩაუტარა პროგრამის აკადემიურ პერსონალს და გაიცა სერტიფიკატები.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პერსონალის გამოკითხვის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ უსდ მას პიროვნული რეალიზაციის საშუალებას არ აძლევს, რაც პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგად არ გამოვლინდა. თუმცა ექსპერთა ჯგუფის აზრით, უსდ-მ მეტად უნდა უზრუნველყოს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის საერთაშორისო პროგრამებში/ პროექტებში თანამონაწილეობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ➢ თსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა https://www.tsu.ge/data/file_db/PR/2017-2021.pdf; თსუ ვებ-გვერდი https://www.tsu.ge შესაბამისი აქტივობების ამსახველი დოკუმენტაცია; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებგვერდი ➢ თვითშეფასების ანგარიში; ➢ ინტერვიუ აკადემიურ/ მოწვეულ პერსონალთან ; ფაკულტეტის დეკანთან; ➢ გამოკითხვის შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ➢ სასურველია, რომ უსდ-მ მეტად უზრუნველყოს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის საერთაშორისო პროგრამებში/ პროექტებში თანამონაწილეობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი მატერიალურ–ტექნიკური ბაზა წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების ერთ–ერთ ინდიკატორს და პროგრამის დამტკიცების/ამოქმედების განმსაზღვრელ ფაქტორს.

საგანმანათებლო პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მულტიმედიაცენტრი; ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ტელე-რადიო ლაბორატორია; სასწავლო აუდიტორიები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო ოთახები; სტუდენტებთან ინდივიდუალური შეხვედრების ოთახები; საკონფერენციო აუდიტორიები; კომპიუტერული რესურს-ცენტრი; ნიუსრუმი და სამონტაჟო.

ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას. ასევე, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

თსუ-ში დასაქმებული პერსონალისა და სტუდენტების, აგრეთვე მატერიალური ფასეულობების დაცვა დანაშაულებრივი ან სხვა სახის ხელყოფისაგან ხორციელდება ერთიანი სისტემის ფარგლებში, დაცვის ფიზიკური და ტექნიკური საშუალებებით: 1. ფიზიკურ დაცვაში იგულისხმება შესაბამისი მომზადების მქონე დაცვის თანამშრომლების საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულებაში აღწერილი მიზნების განხორციელებას; 2. ტექნიკურ დაცვაში იგულისხმება დაცვის თანამედროვე ელექტრონული საშუალებები, მათ შორის ვიდეომეთვალყურეობისა და სიგნალიზაციის სისტემები, სახანძრო უსაფრთხოების საშუალებები, ხანძარსაწინააღმდეგო და საგანგებო სიტუაციებში შენობებიდან ევაკუაციის სისტემის არსებობა (საევაკუაციო გეგმების განთავსება თსუ–ის შენობებში, თვალსაჩინო ადგილას) და სხვა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ექსპერტთა ჯგუფთან შეხვედრისას სტუდენტებმა გამოხატეს სურვილი, რომ მეტი ლექცია ჰქონდეთ იმ შენობაში/ებში, სადაც სწავლობენ იგივე პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტები, ვინაიდან ვაჟა-ფშაველას გამზირზე, თსუ-სგან შორს მდებარე შენობიდან (სადაც მიდის ლექციების ძირითადი ნაწილი) ისინი ვერ ახერხებენ ინტეგრაციას, ასევე, ქართულენოვან გარემოში ყოფნას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა;
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან;
- თსუ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის :

➢ სასურველია, მოხდეს სასწავლო პროცესის ისე დაგეგმვა, რომ პროგრამის სტუდენტებმა შეძლონ გარემოსთან უკეთესი ინტეგრაცია.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილია. ყოველწლიურად საფაკულტეტო ბიუჯეტის შედგენა ხდება თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო თანხების გათვალისწინებით. ბიუჯეტი უზრუნველყოფს: პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას; პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ–ტექნიკური ბაზის შენახვასა და სრულყოფას. ფაკულტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულია: აკადემიური პერსონალის და სტუდენტების საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯები, წიგნადი ფონდის განახლების ხარჯი, გამომცემლობითი ხარჯები და სხვა. თვითშეფასების დოკუმენტში გასაუმჯობესებელ პუნქტად მითითებულია დამხმარე და მოწვეული პერსონალისთვის ვორკშოფების მოწყობა უახლესი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ათვისების მიზნით. 2018 წლის ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით კი, სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯის ნაწილი 1000 ლარით განისაზღვრება. ექსერტთა აზრით, გამოყოფილი თანხა არასაკმარისია აღნიშნული ღონისძიებების განსახორციელებალად და სასურველია გაიზარდოს აღნიშნული ღონისძიებების დასაფინანსებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ თსუ-ის და ფაკულტეტის ბიუჯეტი, რომელიც ხელმისაწვდომი და ღია ყველასთვის შემდეგ ვებ-გვერდზე: www.tsu.ge

➢ ინტერვიუ თსუ ადინისტრაციის ხელმძვანელის მოადგილესთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ➢ სასურველია, რომ გამოინახოს მეტი ფინანსური რესურსი სესიების, კონფერენციების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზებისთვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	V			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ-ის ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები ექვემდებარება პრინციპს - „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“. პროგრამის შემუშავების და შეფასების პროცესში ჩართულები არიან როგორც აკადემიური პერსონალი, ისე ფაკულტეტზე მომუშავე ხარისხის განვითარების სპეციალისტები და თსუ-ის ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ეს დადასტურდა ინტერვიუების პროცესშიც. ხარისხის შეფასების პროცესში მონაწილეობენ ასევე, დამსაქმებლები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები. სტუდენტებს ყოველსემესტრულად უწევთ პროგრამის შეფასება ელექტრონული სასწავლო სისტემის გამოყენებით, ეს პროცესი ნებაყოფლობითია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყველა ფაკულტეტზე მომზადდა ტრენინგ კურსები სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით, რაც ეხმარება პროგრამებში ჩართულ პირებს უფრო მკაფიოდ ჩამოაყალიბონ სწავლის შედეგები და შეაფასონ ის სხვადასხვა კრიტერიუმთან მიმართებაში. პროგრამის თვითშეფასების პროცესი დაიგეგმა და განხორციელდა სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობით - აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაცია, სტუდენტი. როგორც ინტერვიუებით გაირკვა, სტუდენტთა კვლევების შედეგად გამოვლენილი გასაუმბჯობესებლი საკითხების აღმოსაფხვრელად დაწესებულების ყველა სტრუქტურული ერთეული (ფაკულტეტი, ფინანსები და ა.შ.) ინაწილებს პასუხისმგებლობას მისი უფლებამოსილების შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ➢ ინტერვიუს შედეგები; ➢ გამოკითხვები, ანგარიშები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის გარე შემფასებელი არის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, პროგრამის განვითარება და სრულყოფა ხდება ექპერტების დასკვნების შესაბამისად. ამ ეტაპზე, პროგრამას არ ჰყავს საერთაშორისო შემფასებლები. თუმცა თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ დაწესებულების ბევრ სხვა პროგრამაზე უკვე არსებობს უცხოელი ექსპერტების შეფასების პრაქტიკა. პროგრამის ხელმძღვანელმა ინტერვიუში აღნიშნა, რომ სააკრედიტაციოდ მომზადების პროცესში განახლდა და პროგრამის კურიკულუმთან სრულ შესაბამისობაში მოვიდა პროგრამის ნარატიული ნაწილი - მისი აღწერილობა, პროგრამის მიზანი, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა დასაქმების სფეროები; ასევე მკაფიოდ დაკლასიფიცირდა ის ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომლებსაც სტუდენტი იძენს და გამოიმუშავებს პროგრამაზე სწავლის პერიოდში. პროგრამიდან ამოღებულ იქნა ის არჩევითი სასწავლო კურსები, რომლებიც ფარავდნენ და/ან დუბლირებას უკეთებდნენ პროგრამის ძირითად სასწავლო კურსებს ან არ შეესაბამებოდნენ სწავლების საფეხურს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ პროგრამის თვით-შეფასების ანგარიში; ➢ ინტერვიუს შედეგები; ➢ გამოკითხვები, ანგარიშები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას ახდენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების პროცესში მონაწილეობას იღებს ყველა ჩართული დაინტერესებული მხარე. ეს დადასტურდა სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს. დამსაქმებლები აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებისა და შეფასების პროცესში. ინტერვიუს დროს აღინიშნა ფაქტებიც, როცა მათ შესთავაზეს გარკვეული კურსები და ცვლილებები პროგრამასთან მიმართებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- გამოკითხვები, ანგარიშები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	V			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 37

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	V			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		V		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		V		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	V			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	V			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>
ნინო შოშიტაშვილი

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u> , ხელმოწერა

ნინო ჟიჟილაშვილი

თეონა ჟუჟუნაძე